ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 მარტის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

4. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ირინე ჩხეიძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 მარტის მორიგი სხდომის

ოქმი N 5
2025 წლის 10 მარტი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 28 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

დავით დევდარიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,

კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსი,

პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ინგა ბერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

4. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ირინე ჩხეიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.
მომხრე 29

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში, სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)
აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“, კითხვით მიმართა მომხსენებელს რატომ ვერ შეირჩა წლებია ადმინისტრაციული სამსახურია უფროსის მოადგილის კადრი და ვის მიენიჭა მერიაში და რა კრიტერიუმებით ენიჭებათ პირველი კლასი.

კახაბერ გოლუბიანმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილის შერჩევა უნდა მოხდეს კონკურსის წესით, არის კრიტერიუმები, რომელიც ვერ დააკმაყოფილა კონკურსში მონაწილე პირებმა და ამის გამო ვერ შეირჩა, რაც შეეხება პირველი კლასის მინიჭების საკითხს, რამდენიმეს მიენიჭა კანონის მიხედვით შეფასების საფუძველზე, კონკრეტულად პიროვნებები არ მახსოვს.
პაატა გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ წინა წელს სამსახურის მიმართ გვქონდა შენიშვნები ახლა ეს შენიშვნები გასწორებულია და ვაყენებ წინადადებას სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად..
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა, გოგოლაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე 25

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ბესიკ კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამსახურის საქმიანობა განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, მართლა 24 საათი მუშაობენ, აქვთ წარმატებები, არიან მოტივირებულები და შემოვდივარ წინადადებით სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად
ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის", აღნიშნა, რომ დიდთოვლობის პირობებში კარგი იქნებოდა მეტი ინფორმაცია ჰქონოდა მოსახლეობას შტაბის საქმიანობის შესახებ, მაგ. ლეღვანში იყო საწვავის მიუწოდებლობის შემთხვევა
ვარლამ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ განუმარტა, რომ მერიას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული კერძო პირებთან გათოვლითი სამუშაოების ჩასატარებლად ხოლო საწვავის მიწოდება ევალებოდა კონტრაქტორ კომპანიას, საიდანაც ვახდენდით საწვავის შეძენას, ვინაიდან სხვა ფორმა კანონიერი ვერ გამოინახა. ჩვენ ვერ მოვახდენდით საწვავის შეტანას კერძო პირებთან.
თორნიკე ავალიშვილმა, ხელშეკრულება არ აინტერესებს სოფელში მცხოვრებ მოქალაქეს, მას ჭირდება დახმარება, ასევე კარგი იქნებოდა სტიქიის დროს უბნის ექიმების მობილიზება ადგილზე, რომელიც გაუწევდნენ დახმარებას ქრონიკულად მოავადე პაციენტებს ამ დროს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბესიკ კვირიკაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მან აღნიშნა, რომ არის აღნიშნული კომისიის წევრი, კომისია მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რეგულარულად ტარდება სხდომები და გთავაზობთ წინადადებას კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე 25

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

მონაწილეობა არ მიიღო 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის ირინე ჩხეიძის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“, როგორც ვიცით მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ საკრებულოს სხდომაზე ანგარიშის წარდგენის დროს კულტურის სამსახურის მისამართით აღინიშნა და ეჭვის ქვეშ აყენებს, რომ კულტურის სამსახურმა ანგარიშის წარდგენის დროს ანგარიშში ახსენა ა (ა) ი. პირის სპორტის ცენტრის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული ღონისძიებები. მინდა ვთქვა, რომ კულტურის სამსახური სულ არსებობს და ერთ -ერთი თავმოსაწონებელი სამსახურია მუნიციპალიტეტში და ეს ცვლილებაც ამის გამო ხდება?

ვარლამ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ განმარტა, რომ სამსახურის ინიციატივით სამსახურის დებულებაში ინიცირებული ცვლილების უკან არ დგას რაიმე პოლიტიკური და არც საკადრო ცვლილება, აუდიტმა მისცა რეკომენდაცია და აღმოიფხვრა ხარვეზი დებულებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე 28

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**